

დისტოპიური ჟანრი ლიტერატურასა და კინოში

რუსუდან ინასარიძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო
უნივერსიტეტის მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტზე
შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის მაგისტრის აკადემიური
ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად*

პროგრამა

შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ბელა წიფურია, დოქტორი, პროფესორი.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2016

განაცხადი

როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შეაბამისად.

რუსუდან ინასარიძე

თარიღი:

აბსტრაქტი

ნაშრომში წარმოდგენილია ანტიუტოპიური ჟანრის ჩამოყალიბების პროცესები და მისი გავლენა ლიტერატურასა და კინემატოგრაფიაზე. ამიტომ ნაშრომის მიზანია შეადაროს/შეაპირისპიროს ერთმანეთს ლიტერატურული ტექსტები და ფილმები. დაადგინოს მათ შორის მსგავსება-განსხვავებები და გამოკვეთოს ჟანრული მახასიათებლები. კერძოდ, განვიხილავთ ჯორჯ ორუელის რომანს *1984* და მის მიხედვით გადაღებულ მაიკლ რედფორდის ფილმს *1984*, და რეი ბრედბერის რომანს *451 გრადუსი ფარენჰაიტით* და შევადარებთ ამავე სახელწოდების ფრანსუა ტრიუფოს ფილმს.

კვლევა წარიმართა სხვადასხვა სამეცნიერო ლიტერატურაზე დაყრდნობით. გამოვიკვლიეთ ჩვენ მიერ შერჩეულ რომანებსა და ფილმებში ანტიუტოპიური ჟანრის მახასიათებლები და მათი გადმოცემის ხერხები.

ჩვენ მიერ ჩატარებულმა კვლევამ წარმოაჩინა ლიტერატურულ ტექსტებში გამოყენებული ანტიუტოპიური ჟანრის მახასიათებლების გადასვლა და გამოსახვა კინემატოგრაფიაში სხვადასხვა საშუალებებით.

ანტიუტოპიურმა ჟანრმა ლიტერატურიდან გადაინაცვლა კინემატოგრაფიაში, რამაც შექმნა ახალი ტალღა, გამოკვეთა ხელოვნების მისია - წარმოეჩინა და დაპირისპირებოდა ტოტალიტარულ რეჟიმს, რომელიც გასული საუკუნეში კაცობრიობის მთავარ საფრთხეს წარმოადგენდა.

ძირითადი საძიებო სიტყვები: ტოტალიტარული რეჟიმი, ანტიუტოპია, ინტერმედიულობა.

Abstract

The processes of anti-utopian genre and its influence upon literature and cinematography are represented in the thesis. The goal of my research is to compare/correlate literary texts and movies, establish similarities and distinction between them and identify scenic characteristics. Particularly, we discuss the novel by George Orwell (1984) and the movie by Michael Redford based on this novel; the novel by Ray Bradbury *451 Fahrenheit* and compare it with the film with the same title by François Roland Truffaut.

My research was guided by number of studies by international scholars on these topics. I have analyzed characteristics of anti-utopian genres in the selected novels and movies and the methods of their representation. I identified the modes of transfer of the characteristics of anti-utopian genre used in the literature and its expression in the cinematography by using diversified means. Anti-utopian genre gained popularity and was transferred from literature to cinematography, forming new wave of identifying and confronting to the totalitarian regime, which has been a major threat for the humankind in last century.

Main keywords: totalitarian regime, anti-utopia, intermediality.